

RELIGIOUS-ETHNIC CONFLICT TO LEON FEUCHTWANGER' "THE SPANISH BALLAD" AND WALTER SCOTT'S "IVANHOE"

რელიგიურ-ეთნიკური კონფლიქტი ლიონ ფოიჰტვანგერის „ესპანური ბალადისა“ და უოლტერ სკოტის „აივენჰოს“ მიხედვით

Nino Bakradze

Doctor of Philology,
Associate Professor at Gori State University,
Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,
+995599187018, bakradzenino@gmail.com
<https://orcid.org/0009-0001-7264-6287>

Abstract. The paper is devoted to the problem of religious-ethnic conflict, based on the examples of *The Spanish Ballad* (1955) by Lion Feuchtwanger and *Ivanhoe* (1820) by Walter Scott. It examines the impact of religious and ethnic differences on the fate of the individual and shows how these factors determine the tragic development of the characters' lives. The study is based on the comparative method, which allows for the identification of both similarities and differences between the texts through comparative analysis.

The life of Jewish characters is presented, on the one hand, through the father and daughter Rachel and Yehuda, and on the other, through Rebecca and Isaac, who likewise represent a father-child relationship. Despite their wealth and seemingly stable social standing, their lives are marked by constant danger. The good deeds performed by the Jewish characters and their peaceful way of life fail to ensure their safety, as society's attitude toward them is rarely benevolent. Persecution, oppression, and the fear of death constitute a real threat and are an inseparable part of their daily existence. Rachel and Yehuda fall victim to religious-ethnic intolerance, while Rebecca and Isaac are ultimately forced to leave the country.

The study demonstrates that in an intolerant environment, individual freedom is significantly restricted, the possibility of personal happiness is denied, and human life is often led toward a tragic outcome. At the same time, it reveals that the forms of conflict differ: in Feuchtwanger's work, it is more politicized and explicit, whereas in Scott's novel it takes the form of social isolation.

Keywords: Lion Feuchtwanger, "Spanish Ballad", Walter Scott, „Ivanhoe“, religious conflict.

ნინო ბაქრაძე

ფილოლოგიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
გორი, ი. ჭავჭავაძის ქ. №53, 1400, საქართველო,
+995599187018, bakradzenino@gmail.com
<https://orcid.org/0009-0001-7264-6287>

აბსტრაქტი. ნაშრომი ეძღვნება რელიგიურ-ეთნიკური კონფლიქტის პრობლემას ლ. ფოიჭტვანგერის „ესპანური ბალადისა“ (1955) და უოლტერ სკოტის „აივენჰოს“ (1820) მაგალითზე. ნაჩვენებია რელიგიური და ეთნიკური განსხვავებულობის გავლენა ინდივიდის ბედზე, თუ როგორ განაპირობებს ეს ფაქტორები პერსონაჟთა ცხოვრების ტრაგიკულ განვითარებას. თემა ეფუძნება კომპარატივისტული კვლევის მეთოდს, რომელიც იძლევა საშუალებას, შედარებითი ანალიზის გზით გამოვლინდეს ტექსტთა შორის როგორც მსგავსება, ისე განსხვავება.

ებრაელთა ცხოვრება მოცემულია, ერთი მხრივ, მამა-შვილის - რაკელისა და იეჰუდას, მეორე მხრივ, რებეკასა და ისააკის, ასევე მამა-შვილის მაგალითზე. მიუხედავად სიმდიდრისა და ერთი შეხედვით, არცთუ ურიგო საზოგადოებრივი მდგომარეობისა, მათი ცხოვრება სავსეა ხიფათით. ებრაელთა მიერ გაწეული კეთილი საქმეები და სრულიად უწყინარი ცხოვრების წესი ვერ უზრუნველყოფს მათ მშვიდობიან ყოფას, რადგან საზოგადოების დამოკიდებულება მათ მიმართ თითქმის არასდროსაა კეთილგანწყობილი. დევნა, შევიწროვება, სიკვდილის შიში რეალურ საფრთხეს წარმოადგენს და მათი ყოველდღიურობის თანამდევია. რაკელი და იეჰუდა ეწირებიან რელიგიურ-ეთნიკურ შეუწყნარებლობას. რებეკა და ისააკი კი ქვეყნიდან მიემგზავრებიან

კვლევა აჩვენებს, რომ არატოლერანტულ გარემოში იზღუდება ინდივიდის თავისუფლება, გამორიცხავს პირადი ბედნიერების შესაძლებლობას და საბოლოოდ, ტრაგიკულ შედეგამდე მიჰყავს ადამიანი. ამასთან, გამოიკეთა, რომ კონფლიქტის გამობატვის ფორმები განსხვავებულია: ლ. ფოიჭტვანგერთან იგი უფრო პოლიტიზებული და პირდაპირია, ხოლო უ. სკოტთან - სოციალური იზოლაციის ფორმას იღებს.

საკვანძო სიტყვები: ლიონ ფოიჭტვანგერი, „ესპანური ბალადა“, უოლტერ სკოტი, „აივენჰოს“, რელიგიურ-ეთნიკური კონფლიქტი.

შესავალი. რელიგიურ-ეთნიკური კონფლიქტისა და ინდივიდის ტრაგედიის პრობლემა მსოფლიო ლიტერატურაში ერთ-ერთ მნიშვნელოვანი და არაერთხელ დამუშავებული თემაა. განსაკუთრებით საინტერესოა აღნიშნული საკითხის გააზრება ისტორიული რომანის კონტექსტში, სადაც პერსონაჟთა ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული კონკრეტული ეპოქის სოციალურ, კულტურულ და იდეოლოგიურ რეალობასთან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლიონ ფოიჭტვანგერის „ესპანური ბალადა“ და უოლტერ სკოტის „აივენჰოს“, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ და გეოგრაფიულ სივრცეში წარმოაჩენენ ერთსა და იმავე პრობლემას — რელიგიური და ეთნიკური განსხვავებულობის გავლენას ადამიანის ცხოვრებასა და ბედზე.

თემის აქტუალობა განპირობებულია იმით, რომ რელიგიური შეუწყნარებლობისა და განსხვავებულის მიუღებლობის პრობლემა არა მხოლოდ ისტორიულ წარსულში, არამედ თანამედროვე მსოფლიოშიც მწვავედ დგას. აღნიშნული ტექსტების ანალიზი საშუალებას

გვამღევს, დავინახოთ, თუ როგორ აისახება მსგავსი სოციალური და რელიგიური დაპირისპირებები ინდივიდის ცხოვრებაზე და რა ტრაგიკულ შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს იგი.

ნაშრომის მიზანია, რომანებში მოცემული ისტორიულ-კულტურული კონტექსტის გაანალიზება, კონფლიქტის ფორმების გამოვლენა და მათი ზემოქმედების შეფასება ინდივიდის პირად ცხოვრებაზე.

მეთოდი. კვლევა ეფუძნება კომპარატივისტულ მეთოდს. რაც საშუალებას იძლევა, სხვადასხვა ეროვნულ-კულტურული სივრცის ლიტერატურულ ტექსტებში გამოვლინდეს საერთო ტენდენციები და სპეციფიკური თავისებურებები.

შედეგები. ლ. ფოიჰტვანგერისა და უ. სკოტის აღნიშნულ რომანებში რელიგიურ-ეთნიკური კონფლიქტი წარმოდგენილია ქრისტიანებსა და ებრაელებს შორის დაპირისპირების სახით. შუა საუკუნეების კასტილიასა და ინგლისში ეს ურთიერთობა ისტორიულად დამაბულია: ქრისტიანული ხელისუფლება და ხალხი ებრაელებს ხშირად აღიქვამს როგორც „სხვას“.

ამკარაა ებრაელთა დაუცველი მდგომარეობა. მათ მიმართ გამოჩენილი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება მეტად მყიფეა. ეს გარემოება ქმნის მუდმივი შიშისა და არასტაბილურობის განცდას, რაც პერსონაჟთა ქცევაზე პირდაპირ გავლენას ახდენს. რელიგიური ფანატიზმი არ არის ერთეული გამოვლინება. იგი საზოგადოებრივი ცნობიერების ნაწილია, რომელიც ამართლებს ძალადობასა და დისკრიმინაციას. ამ პირობებში ინდივიდის ტრაგედია გარდაუვალია. პერსონაჟები, რომლებიც ცდილობენ გადალახონ არსებული ბარიერები, აღმოჩნდებიან ხოლმე მარტო საზოგადოების პირისპირ და ხშირად ამ დაპირისპირებას მსხვერპლად ეწირებიან. ასე ემართებათ ლ. ფოიჰტვანგერის გმირებს - რაკელსა და იეჰუდას. „აივენჰოში“ რელიგიური კონფლიქტი განსხვავებულ, თუმცა არანაკლებ მძაფრ ფორმას იღებს. აქაც ებრაელების მდგომარეობა სრულად განპირობებულია საზოგადოების მტრული დამოკიდებულებით, სოციალური იზოლაციითა და სამართლებრივი უთანასწორობით. ისინი არ არიან საზოგადოების სრულყოფილებიანი წევრები და მუდმივად განიცდიან დისკრიმინაციას. მიუხედავად იმისა, რომ რებეკა და მისი მამა, წარმოადგენენ მორალური სიმლიერისა და ღირსების მაგალითებს, ეს არ ცვლის მათ მდგომარეობას.

ნათელია, რომ მთავარი გმირების პირადი ცხოვრება პირდაპირ არის დამოკიდებული იმ სოციალურ-კულტურულ და რელიგიურ გარემოზე, რომელშიც ისინი არსებობენ. შეზღუდულია მათი თავისუფლება და პირადი ბედნიერების უფლება. სიყვარულიც კი ტრაგედიის წყაროდ იქცევა, როდესაც იგი საზოგადოებრივ ნორმებსა და რელიგიურ შეზღუდვებს ეჯახება.

მსჯელობა. ლიონ ფოიჰტვანგერი XX საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული რომანისტი, რომელიც განსაკუთრებული სიღრმით აღწერს წარსულის სოციალურ და პოლიტიკურ დაპირისპირებებს. მისი რომანი „ესპანური ბალადა“ გვაცნობს შუასაუკუნეების ესპანეთს, კერძოდ, კასტილიის სამეფოს, სადაც ქრისტიანულ და ებრაულ სამყაროთა შორის არსებული დამაბულიობა მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემად გვევლინება.

ამ ეპოქაში ებრაული მოსახლეობა ერთგვარ პარადოქსულ მდგომარეობაში იმყოფება: ერთი მხრივ, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კასტილიის ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ცხოვრებაში და მეორე მხრივ, მუდმივად განიცდიან დისკრიმინაციას უმრავლესობის მხრიდან. სწორედ ამ ისტორიულ რეალობაში, განსხვავებული

რელიგიური და ეთნიკური იდენტობების შეჯახების ფონზე, ვითარდება რომანის მთავარი კონფლიქტი.

ლ. ფოიჭტვანგერი არ აღწერს მხოლოდ დაპირისპირების სცენებს, არამედ წარმოაჩენს კულტურულ თანაარსებობასაც, რომელიც მუდმივად ურთიერთობების გამწვავების საფრთხის ქვეშაა. პერსონაჟთა ტრაგედია სწორედ ამ დაძაბული თანაცხოვრების შედეგია: ადამიანი ვერ ახერხებს საკუთარი გრძნობებისა და არჩევანის რეალიზებას, რადგან მას ზღუდავს საზოგადოებრივი და რელიგიური ნორმები. შუასაუკუნეების ესპანეთი წარმოჩნდება როგორც სივრცე, სადაც რელიგიური და ეთნიკური განსხვავება განსაზღვრავს ადამიანის ბედს. ისტორიული გარემო აქ მოქმედებს როგორც ძალა, რომელიც ინდივიდს ართმევს თავისუფალ არჩევანს და ტრაგიკულ დასასრულამდე მიჰყავს.

ლ. ფოიჭტვანგერის რომანში მოქმედება XII საუკუნის მიწურულს კასტილიის სამეფოში, ქალაქ ტოლედოში ვითარდება. კასტილიის ტახტი ალფონსო VIII-ს უპყრია. ისტორიაში იგი იხსენიება, როგორც „კეთილშობილი“, „კეთილი“ მბრძანებელი. მისი მეფობის ხანაში არ იდევნებოდნენ სხვა რელიგიის წარმომადგენელნი. იგი მფარველობდა მეცნიერებასა და ხელოვნებას. ესპანეთში პირველი უნივერსიტეტის დაარსებაც მის სახელს უკავშირდება.

ალფონსო VIII გულმოწყალე მეფე და მამაცი მეომარია, დაჯილდოებული სხარტი გონებითა და ფიცხელი გულით. ის რაინდია და მისთვის მთავარი საქმე ომია. ძალიან უჭირს დათანხმდეს რვაწლიან ზავს მაჰმადიანურ სევილიასთან. ვერ ეგუება უქმად ყოფნას, როცა ქრისტიანული სამყარო ჯვაროსნულ ომშია ჩართული. ამჯობინებს, სიმნელეები მახვილით გადაჭრას და არა მოლაპარაკებით.

ამ ვითარებაში სევილიიდან კასტილიაში საცხოვრებლად გადმოდის იეჰუდა იბნ ეზრა თავის მშვენიერ ქალიშვილთან - რაკელთან ერთად. უცნაურია მამა-შვილის მდგომარეობა კასტილიაში. მათ მიმართ ერთნაირად არსებობს მიმდებლობაც და უარყოფაც. იეჰუდა იბნ ეზრა მდიდარი ებრაელია. ამავე დროს ალფონსოს კარის ფინანსთა მინისტრი. გარეგნულად გავლენიანი ადამიანი, რეალურად კი გარიყული და დაუცველი. იეჰუდასა და რაკელის მდგომარეობა სრულად მეფისა და კასტილიელების კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული. იეჰუდა ჭკვიანი ფინანსისტი. მისი საქმიანობა კიდევ წაადგება ქვეყანას სასიკეთოდ, მაგრამ გარშემომყოფთა კეთილგანწყობის მოპოვება მაინც რთულია. იგი სრულად აცნობიერებს მისი და რაკელის მდგომარეობას. იეჰუდა ფრთხილი, ურთიერთობებში დიპლომატიური ადამიანია - მოზომილი ყოველ ქმედებასა და სიტყვაში. იგივეს ასწავლის რაკელსაც. “ნაწარმოების ძირითადი თემა იეჰუდას ბრძოლაა მშვიდობის, ინტერნაციონალიზმისა და რჯულთშემწყნარებლობისათვის, რაც ეგოდენ დამახასიათებელია ლიონ ფოიჭტვანგერის დადებითი პერსონაჟისათვის საერთოდ” (კაკაბაძე, 1964: 150-151).

რომანის მთავარ ამბავს ალფონსოსა და ებრაელი ქალის - რაკელის სიყვარულის იტორია წარმოადგენს. თავდაპირველად ალფონსოს ქალის მიმართ არაერთმნიშვნელოვანი განწყობა უყალიბდება - მისი პიროვნებით არ იხიბლება, მაგრამ ინტერესით აკვირდება. მავრიტანულ სევილიაში მუსულმანთა წეს-ჩვეულებებზე აღზრდილი რაკელი სრულიად განსხვავდება კასტილიელი ბანოვანებისგან. ალფონსო ჯერ მოიხიბლება, შემდეგ კი სიყვარულის მორევში გადაშვებულს სრულებით ავიწყდება საქვეყნო საქმეები, „წმინდა ომი“, მოვალეობები სამეფოსა და ცოლ-შვილის წინაშე.

ჭკვიანი და განათლებული რაკელი ძალას არ იშურებს, რათა მეფეს მშვიდობის აუცილებლობა ჩააგონოს. უბრალო ხალხს ამის გამო უყვარს იგი. როცა გრანდები ებრაელ ქალს ჯადოქარს ეძახიან და არქიეპისკოპოსი დონ მარტინი „ჯოჯოხეთის მოციქულად“ მოიხსენიებს, ხალხი მას ფერმოზას - „მშვენიერს“ უწოდებს, მასზე სიმღერებს თხზავენ, ლოცავენ რაკელისა და ალფონსოს სიყვარულს, რომელმაც რამდენიმე წლით მაინც

მოუტანა ქვეყანას მშვიდობა. რაკელს არ ძალუძს გაიგოს, რა არის რაინდობა, რადგან რაინდული საქმიანობა ომსა და სისხლისღვრას უკავშირდება. რაკელის მამის, როგორც კასტილიის ფინანსთა მინისტრის, პოლიტიკაც ხელს უწყობს მშვიდობის დამყარებას სამეფოში.

კასტილიის დედოფალი დონა ლეონორი - თავაზიანი, დახვეწილი მანერების მქონე ქალბატონი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი - აქტიურად ერევა სახელმწიფოს მართვაში. ომი არც მას სურს და იღვწის მშვიდობისთვის. ცდილობს არაგონთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენას. აპირებს საკუთარი ქალიშვილი არაგონის მეფეს შერთოს ცოლად და ასე გააერთიანოს ორი ესპანური სამეფო. ლეონორი ალფონსოს ღირსეული თანამეცხედრეა. მეფის გვერდიგვერდ იღვწის ქვეყნის საკეთილდღეოდ, მაგრამ ცოლ-ქმარს შორის რაკელის ჩადგომა, ლეონორს სრულიად ცვლის და მშვიდობისმოყვარე ქალს სასტიკ შურისმაძიებლად აქცევს. ეკლესიის მსახურებთან გაერთიანებული ძალისხმევით დიდი სისასტიკით უსწორდება რაკელსა და მის მამას. მიზეზი შურისძიებაა, საბაბი - კასტილიელთა მიერ განცდილი მარცხი ალარკოსთან ბრძოლაში, როგორც უფლის სასჯელი ებრაელის ქალით მეფის გატაცების გამო, ანგარიშსწორების იარაღი კი - რელიგიის მსახურნი და იოლად ასაყოლიებელი სისხლსმოწყურებული ბრბო. სხვათა ხელით და სასტიკი ფორმით იცილებს გზიდან მამა-შვილს ლეონორი. იმ ხალხის დახმარებით, რომლებიც სულ ცოტა ხნით ადრე მამა-შვილს მათი სამშვიდობო პოლიტიკისა და ქვეყნის სასიკეთოდ გაწეული წვლილის გამო კეთილგანწყობით ეკიდებოდნენ და პატივსაც კი სცემდნენ. ლეონორი ახერხებს საზოგადოებრივი აზრის რადიკალურად შეცვლას, რითაც საბოლოოდ ამართლებს მამა-შვილის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას. რაც ნათლად აჩვენებს, თუ რამდენად მყიფეა ებრაელების მიმართ დამოკიდებულება და როგორ ადვილად შეიძლება ის გადაიქცეს სიძულვილსა და ძალადობაში.

სიყვარული რაკელის შემთხვევაში განსაკუთრებულ დრამატულ ხასიათს იღებს. ეს გრძნობა არ არის მხოლოდ მისი პირადი. იგი გადაიქცევა საერთო პოლიტიკურ და რელიგიურ პრობლემად. სიყვარული, რომელიც უნდა იყოს გამაერთიანებელი ძალა, აქ პირიქით, დაპირისპირების მიზეზი ხდება. საბოლოოდ, რაკელი ხდება იმ საზოგადოების მსხვერპლი, რომელიც ვერ პატიობს განსხვავებულობას და არ ეგუება რელიგიური და ეთნიკური საზღვრების გადალახვას. რაკელი ვერ ახერხებს საკუთარი ბედის მართვას. მიუხედავად შინაგანი სიძლიერისა და გრძნობების სიწმინდისა, ის უძლური აღმოჩნდება ისტორიული და სოციალური ძალების წინაშე.

უოლტერ სკოტის „აივენჰოლ“ XII საუკუნის ამბავს ასახავს. მოქმედება ამჯერად ინგლისში ვითარდება, სადაც სოციალური და ეთნიკური დაპირისპირება - საქსებსა და ნორმანებს შორის - რელიგიური დამაბულობის პარალელურად მიმდინარეობს.

რომანში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ებრაელების მდგომარეობას, რომლებიც ინგლისურ საზოგადოებაში გარიყულ და დისკრიმინირებულ ჯგუფად არიან წარმოდგენილნი. მიუხედავად ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში მათ მიერ შეტანილი წვლილისა, მუდმივად განიცდიან შეურაცხყოფას, ძალადობასა და სამართლებრივ უთანასწორობას. ეს გარემო ქმნის ტრაგიკულ ფონს რებეკასა და ისააკისთვის.

საინტერესოა, რომ ლ. ფოიჰტვანგერის რაკელის და იეჰუდასა მსგავსად, უ. სკოტის „აივენჰოლ“ შემთხვევაშიც მამა-შვილის - რებეკასა და ისააკის - მაგალითზე ვეცნობით ებრაელთა ყოფას შუა საუკუნეების ინგლისში. ისააკი შეძლებული ვაჭარი და მევახშეა. მისი მევალეები ინგლისელი დიდებულები და რაინდები არიან. ისააკი ერთდროულად საჭირო ადამიანიცაა და საძულველიც. როცა ფული სჭირდებათ, მაშინ მოჩვენებით პატივისცემას იჩენენ მის მიმართ, სხვა დროს კი უაღრესად დადამცირებელი ფორმით მიმართავენ ინგლისის საერო და სასულიერო ფენის წარმომადგენლები: „ძაღლო ურიავ!“ (სკოტი, 1991: 221) „ურჯულო ძაღლო“ (სკოტი, 1991: 242) ან „წყეული მოდგმის წყეულო

ძაღლო“ (სკოტი, 1991: 251). ასეთია დამოკიდებულება არა მხოლოდ კონკრეტულად ისააკის, არამედ მთლიანად მისი რჯულისა და ერის მიმართ. ებრაელები მხოლოდ ეკონომიური ფუნქციითა და სარგებლის თვალსაზრისით ფასდებიან. არ გააჩნიათ არანაირი სოციალური სტატუსი.

რებეკა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და შთამბეჭდავი პერსონაჟია „აივენჰოში“. იგი გამოირჩევა არა მხოლოდ სილამაზით, არამედ გონიერებით, მორალური სიმტკიცითა და შინაგანი ღირსებით. მიუხედავად ამისა, ებრაული წარმოშობა განსაზღვრავს მის სოციალურ სტატუსს და ზღუდავს მის შესაძლებლობებს. რებეკას მთავარი მახასიათებელია შინაგანი ძალა, რომელიც მას საშუალებას აძლევს გაუძლოს იმ უსამართლობას, რასაც საზოგადოების მხრიდან აწყდება. იგი არ კარგავს ღირსებას არც საფრთხის, არც შეურაცხყოფის წინაშე, თუმცა ეს სიძლიერე ვერ ცვლის მის ბედს - იგი მაინც რჩება გარიყულად. იმის გამო, რომ სამკურნალო ხელოვნებას ფლობს, ჯადოქარს ეძახიან. თუმცა ხალხს მკურნალობს და საიდუმლო ცოდნას სიკეთეს ახმარს, მას ბრალს სდებენ ჯადოქრობაში, ბნელ ძალებთან კავშირში, რომ „აცდუნებს“ და „აბრკოლებს“ ქრისტიან რაინდებს. ამ ბრალდებებით ასამართლებენ, სიკვდილს მიუსჯიან და განაჩენს სისრულეშიც მოიყვანდნენ, ქალის ღირსების დასაცავად აივენჰო რომ არ გამოჩენილიყო. აივენჰო ინგლისური საზოგადოების სტერეოტიპებს არ იზიარებს. ადამიანის შეფასების კრიტერიუმს მისი პიროვნული ღირსება წარმოადგენს და არა წარმომავლობა.

რელიგიური შეუწყნარებლობა „აივენჰოში“ ვლინდება არა მხოლოდ პირდაპირი ძალადობის სახით, არამედ ყოველდღიურ დამოკიდებულებაშიც - შეურაცხყოფით, უნდობლობითა და სამართლებრივი შეზღუდვებით. ეს ქმნის გარემოს, სადაც ებრაელები იძულებულნი არიან იცხოვრონ მუდმივი საფრთხის პირობებში.

სიყვარული აქაც ტკივილის მიზეზი ხდება. რებეკა დაჭრილ აივენჰოს უვლის, მკურნალობს და მის მიმართ ნაზი გრძნობაც უჩნდება, მაგრამ სანაცვლოდ იგივეს არ ელის, დიდი ხანია იცის, რომ „სხვაა“. აივენჰოსთან პირადი ბედნიერების შანსი არ აქვს. იმ საზოგადოებაში ინგლისელი რაინდისა და ებრაელ ქალის სიყვარული შეუძლებელი და მიუღებელია. ამგვარად, სიყვარული „აივენჰოშიც“ არანაკლებ ტრაგიკულ ფორმას იღებს. რებეკას გრძნობა ინგლისელი რაინდის მიმართ ერთგვარად ჩუმი და თავშეკავებულია. იგი აცნობიერებს, რომ მისი გრძნობა მიუღებელია იმ საზოგადოებისათვის, სადაც რელიგიური და სოციალური საზღვრები მკაცრად დადგენილი. აივენჰოსა და რებეკას ურთიერთობა არ აღწევს იმ სიმდაფრეს, როგორც ალფონსოსა და რაკელის შემთხვევაში. აქ სიყვარული არ არის ღიად აკრძალული. იგი უბრალოდ შეუძლებელია. „რებეკას წინ გადაულახავ ზღუდედაა აღმართული მისი ებრაელობა. მას ჭეშმარიტი სიყვარულითა და უნაზესი ქალური გრძნობით უყვარს რაინდი აივენჰო. მკითხველი სინანულთან ერთად თანაუგრძნობს რებეკას, ვინაიდან ამ ღვთაებრივი სილამაზითა და ნაზი გრძნობიერი გულით დაჯილდოებულ ქალს, ყოვლისშემძლე, ყოვლისდამთრგუნველი და ხშირად ყოველი დაბრკოლების არადმიმჩნევი, ნამდვილი გრძნობის მიუხედავად, თვითონვე სწამს და სჯერა, რომ ჭეშმარიტი გრძნობა უძლურია იმ ჩატეხილი ხიდის გასამრთელეზად და უფსკრულის გადასალახავად, რომელიც ებრაელ ქალსა და ქრისტიან რაინდს შორის არსებობს“ (მაღრაძე, 1991: 15). მართალია, აივენჰო ლედი როვენაზეა შეყვარებული, რებეკას მიმართ მაღლიერებისა და პატივისცემის გრძნობით არის განმსჭვალული. უყოყმანოდ აღმოუჩენს მას დახმარებას და მფარველობას უწევს, როცა ქალს ჯადოქრობაში დაადანაშაულებენ. რებეკა არ იბრძვის ამ სიყვარულისთვის. გულზე ძლიერია გონება, რომელიც ეხმარება, რეალურად შეაფასოს საკუთარი მდგომარეობა და გააცნობიეროს არსებული სოციალური და რელიგიური ბარიერები. იგი ხვდება, რომ მიუღებელი და შეუძლებელია აივენჰოსთან ურთიერთობა, რადგან მათ შორის დგას არა მხოლოდ პირადი გრძნობები, არამედ მთელი საზოგადოებრივი წესრიგი. საბოლოოდ, რებეკა მამასთან ერთად ტოვებს ინგლისს. სიყვარული განუხორციელებელია, ხოლო საზოგადოების

მტრულ განწყობილებებზე გამარჯვება - შეუძლებელი. რებეკა „სხვა“ არის, ამ საზოგადოებაში ვერ ინტეგრირდება. რელიგიური მიუღებლობა და სოციალური კონფლიქტი წარმართავს მის ცხოვრებას. მართალია, მარცხდება, არ შესწევს ძალა ბარიერები დაამსხვრიოს, მაგრამ რაკელისგან განსხვავებით მსხვერპლად არ ეწირება.

ისევე როგორც, შუა საუკუნეების ესპანეთი, ინგლისიც წარმოდგენილია როგორც სოციალური და რელიგიური უთანასწორობის სივრცე. ორივე ნაწარმოებში ისტორია არ არის პასიური ფონი. იგი წარმოადგენს აქტიურ ძალას, რომელიც განსაზღვრავს სიუჟეტის განვითარებასა და პერსონაჟთა ბედს. ისტორიული რეალობა პირდაპირ ზემოქმედებს ადამიანთა ურთიერთობებზე, მათ არჩევანზე, გადაწყვეტილებებსა და საბოლოო შედეგზე.

რელიგიური კონფლიქტი და ეთნიკური განსხვავებულობა ამ კონტექსტში ფუნქციონირებს როგორც მთავარი მამოძრავებელი ფაქტორები, რაც ქმნის დაძაბულობას არა მხოლოდ საზოგადოებრივ დონეზე, არამედ პირად ურთიერთობებშიც. არსებული გარემო არ უტოვებს ადამიანს არჩევანის თავისუფლებას. პერსონაჟები ხშირად აღმოჩნდებიან ისეთი ძალების წინაშე, რომლებიც მათზე ძლიერია. ეს არის: რელიგია, ტრადიცია, საზოგადოებრივი აზრი და პოლიტიკური ინტერესები. შედეგად, მათი ბედი წინასწარგანსაზღვრულ ტრაგიკულ მიმართულებას იღებს.

დასკვნა. მიუხედავად ისტორიული და კულტურული განსხვავებებისა, ლიონ ფოიჰტვანგერსა და უოლტერ სკოტს შორის არსებობს მნიშვნელოვანი პარალელები. ორივე ავტორი კრიტიკულად აფასებს რელიგიურ და ეთნიკურ შეუწყნარებლობას და ხაზს უსვამს მის ნეგატიურ გავლენას ადამიანზე. წარმოაჩენენ მის დამანგრეველ შედეგებს როგორც პიროვნებისთვის, ისე საზოგადოებისთვის.

რელიგიური და ეთნიკური კონფლიქტი ორივე ტექსტში განსხვავებული ფორმით, თუმცა მსგავსი არსით არის წარმოდგენილი. ლ. ფოიჰტვანგერთან იგი უფრო პოლიტიკურ და კულტურულ დონეზე ვითარდება, სადაც ებრაელები გარკვეულ როლს მანიც ასრულებენ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხოლო სკოტთან დაძაბულობა უფრო სოციალური იზოლაციისა და გარიყულობის ფორმას იღებს. მიუხედავად ამისა, ორივე შემთხვევაში კონფლიქტი ეფუძნება განსხვავებულის მიუღებლობას. დომინანტური რელიგიური ჯგუფი ცდილობს საკუთარი უპირატესობის შენარჩუნებას, რაც იწვევს დისკრიმინაციასა და ძალადობას. სამწუხაროდ, ტოლერანტობის გამოვლინების მაგალითები იშვიათი გამონაკლისია და არა ნორმა.

ამრიგად, ნაშრომი ადასტურებს, რომ რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირება ზღუდავს ინდივიდის თავისუფლებას და განსაზღვრავს მის ტრაგიკულ ბედს, ხოლო ლიტერატურა ამ პროცესის გააზრებისა და შეფასების საქმეში მნიშვნელოვან ინსტრუმენტად გვევლინება.

გამოყენებული ლიტერატურა

დასავლეთ ევროპის ლიტერატურა (XX საუკუნე). (1988). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კაკაბაძე, ნ. (1964). *ნარკვევები მეოცე საუკუნის გერმანული ლიტერატურიდან*. თბილისი: გამომცემლობა „ცოდნა“.

მალრაძე, ე. (1991). უოლტერ სკოტი. წიგნში: *აივენჰო*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.

სკოტი, უ. (1991). *აივენჰო*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.

ფოიჰტვანგერი, ლ. (1967). *ესპანური ბალადა*. თბილისი: გამომცემლობა „საბოთა საქართველო“.

დასავლური ლიტერატურის აქტუალური საკითხები და ქართულ-დასავლური ლიტერატურული ურთიერთობები. (2011). თბილისი: უნივერსალი.
 Фейхтвангер, Л. (1935). О смысле и бессмыслице исторического романа. *Литературный критик*. №9, стр. 107.

REFERENCES

- dasavlet evrop'is lit'erat'ura (XX sauk'une) [Western European Literature (20th Century)]*. (1988). Tbilisi: Tbilisi University Publishing House.
- k'ak'abadze, n. (1964). *nark'vevebi meotse sauk'unis germanuli lit'erauridan [Essays on 20th-Century German Literature]*. Tbilisi: Publishing House „Tsodna“.
- maghradze, e. (1991). uolt'er sk'ot'i [Walter Scott]. In *aivenho [Ivanhoe]*. Tbilisi: Publishing House „Nakaduli“.
- sk'ot'i, u. (1991). *aivenho [Ivanhoe]*. Tbilisi: Publishing House „Nakaduli“.
- poikht'vangeri, l. (1967). *esp'anuri balada [The Spanish Ballad]*. Tbilisi: Publishing House „Sabota Sakartvelo“.
- dasavluri lit'erat'uris akt'ualuri sak'itkhebi da kartul-dasavluri lit'erat'uruli urtiertobebi [Topical Issues of Western Literature and Georgian-Western Literary Relations]*. (2011). Tbilisi: Universali.
- Fejhtvanger, L. (1935). О smysle i bessmyslice istoricheskogo romana [On the Meaning and Meaninglessness of the Historical Novel]. *Literaturnyj kritik [Literary Critic]*. №9, p. 107.